საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის
დადგენილება № 1015

ცვლილებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ
დებულებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებულ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

I. სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებაში მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტები, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესის შესაბამისად. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზრ მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

2. მე-3 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1. სადისერტაციო საბჭოს სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის ან მასთან შეთანხმებით, მისი მოადგილის ინიციატივით. საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში, აგრეთვე სადისერტაციო საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პერიოდში – მოადგილე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა.ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე